



# ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეების პირადი არქივების აღწერილობა

2018

## სარჩევი

I შესავალი-----	3
II ბიოგრაფია-----	4
III საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა-----	7
IV შემოქმედებითი მასალა-----	9
V მიმოწერა-----	10
VI ფოტომასალა (შავ-თეთრი ფოტოები)-----	12
VII სხვადასხვა-----	25

## I შესავალი

გერმანიაში მოღვაწე, ემიგრანტი ძმების - ალექსანდრე და ივანე ნიკურაძეების პირადი არქივი 1989 წლის 27 ივნისს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს გადმოსცა ოჯახმა გურამ შარაძის ხელით. არქივი დაამუშავა ქეთევან პატარიძემ.

## II ბიოგრაფია

ივანე ნიკურაძე (1894-1979 წწ.)

ივანე ნიკურაძე დაიბადა სამტრედიის 1894 წლის 20 ნოემბერს. 1917 წელს ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ივანე ნიკურაძე, უმცროს ძმასთან ალექსანდრესთან ერთად, ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. 1919 წელს ივანე იმ რჩეულ ახალგაზრდებს შორის მოხვდა, რომელთაც ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით, სახელმწიფო თავის ხარჯით უცხოეთში სასწავლებლად აგზავნიდა. ძმები რომ არ დაეშორებინა ახალგაზრდების მამა სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში და უნივერსიტეტის რექტორს სთხოვა, მეც მოგეხმარებით სახსრებით და თუ მოხერხდება ალექსანდრეც ძმასთან ერთად გაგზავნეთო.

ასე მოხვდნენ ძმები გერმანიაში. მათ თავიდანვე იცოდნენ, რომ გოტინგენში გამოყენებითი ფიზიკისა და მათემატიკის რამდენიმე გამორჩეული ინსტიტუტი იყო შექმნილი. მათ შორის, პროფესორ პრანდტლის გამოყენებითი მექანიკისა და პროფესორ რუნგეს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტები. ლუდვიგ პრანდტლი, თანამედროვე ჰიდროდინამიკის, გაზის დინამიკისა და აეროდინამიკის მეცნიერებათა ფუძემდებლად მიიჩნევა. ივანე ნიკურაძე მისი საუკეთესო მოწაფე გახდა.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოებამ ხელი შეუშალა ივანეს სამშობლოში დაბრუნებას. მოგვიანებით გერმანიის მოქალაქე გახდა.

პრანდტლის ხელმძღვანელობით, 1923 წელს, წარმატებით დაიცვა დისერტაცია და დოქტორის ხარისხი მიენიჭა. მას იცნობდნენ, როგორც იოჰან ნიკურაძეს (Dr. Johann Nikuradze) და მისი ცნობადობა ნაშრომიდან ნაშრომამდე იზრდებოდა. მუშაობდა მკვლევარად კაიზერ ვილჰელმის, დლევანდელი მაქს პლანკის, ჰიდრაულიკურ კვლევა-ძიებათა და დინამიკის ინსტიტუტში. შემდგომ, ამავე ინსტიტუტის განყოფილების უფროსად დაინიშნა, სადაც 1934 წლამდე მოღვაწეობდა. ეს პერიოდი მისი საქმიანობის ყველაზე ნაყოფიერი ხანა იყო. ივანე ნიკურაძე ცხოვრობდა ძირითადად გოტინგენში და მოღვაწეობდა ჰიდროდინამიკის სფეროში. ლექციების პარალელურად, სამეცნიერო კვლევებს ატარებდა. გამოიკვლია სითხის ლამინარული და ტურბულენტური დინება. რეინოლდის რიცხვის დიდი მნიშვნელობებისათვის მიიღო ჰიდროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის ემპირიული ფორმულა, რომელსაც მისი სახელი უწოდეს. ცნობილია აგრეთვე ივანე ნიკურაძის სახელობის დიაგრამები და მრუდეები, რომლებიც ჰიდრაულიკაში გამოიყენება. მისი საქვეყნოდ ცნობილი ექსპერიმენტი 1933 წელს წიგნად გამოიცა. ნიკურაძე ყურადღებით აკვირდებოდა და სწავლობდა ტურბულენტური სითხეების ხახუნის ექსპერიმენტს, თუ როგორ გაედინებოდა იგი უხეში ზედაპირის მქონე მილების მეშვეობით.

იგი ამ ექსპერიმენტში იყენებდა სხვადასხვა ფორმის ქვიშის კრისტალებს და დაამტკიცა, რომ რაც უფრო უხეშია ზედაპირი, მით უფრო დიდია ხახუნის ძალა და აქედან გამომდინარე წნევის დანაკარგი.

1934 წელს ბრესლაუს უნივერსიტეტმა ახალი კათედრისა და შესაბამისი ინსტიტუტის დაარსება გადაწყვიტა ჰიდრაულიკასა და გამოყენებით ჰიდროდინამიკაში სპეციალიტთა მოსამზადებლად. მეცნიერ-ხელმძღვანელის თანამდებობზე არჩევანი ივანე ნიკურაძეზე შეჩერდა. 1934-1945 წლებში იგი იყო ბრესლაუს უნივერსიტეტისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორი, 1945 წლიდან აახენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. მიმდინარე მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად მან შექმნა I ტომი სახელმძღვანელოსი ჰიდროდინამიკაში "იდეალურ დინებათა მექანიკა" (მიუნხენ-ბერლინი, 1943 წ.). არსებობდა ამ ლექციების II და III ტომები ("სითხის მექანიკა" და "აეროდინამიკა").

ომისშემდგომ პერიოდში ივანე ნიკურაძე თავის უმცროს ძმასთან – ალექსანდრესთან ერთად აწარმოებდა ერთობლივ მეცნიერულ გამოკვლევებს ელექტრონული და იონური ტექნიკის ინსტიტუტში, პარალელურად მუშაობდა ჰიდროდინამიკის ისტორიაზე.

ამის გარდა, პროფესორი ი. ნიკურაძე, როგორც მიუნხენის ე. წ. "მაგისტრთა კოლეჯის" ერთ-ერთი დამაარსებელი, მონაწილეობას იღებდა მათემატიკის გაკვეთილების დამუშავებაში იმ სპეციალიზირებული სკოლებისათვის, სადაც მოსწავლეებს საგანგებოდ ამზადებდნენ შემდგომში საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში სამუშაოდ.

ივანე წარმატებით მუშაობდა აეროდინამიკაშიც, მიუნხენთან ახლოს მდებარე სოფელში. პასიონისტების მამათა მონასტრის სარდაფში იყო უზარმაზარი ლაბორატორია, სადაც იგი მუშაობდა საბრძოლო თვითმფრინავებისა და ატომური ბომბის აეროდინამიკაზე. მან თავის კვალი სამოქალაქო ინდუსტრიაშიც დატოვა, რადგან ივანე ნიკურაძის მოდელი "ჰორშეს" ფირმამ მიიღო. ცნობილი მოდელი – "911" მისი ნახაზებითაა გაკეთებული. 70-იან წლებში ევროპაში ცალლიანდაგიანი მატარებელი იყო, რომლის აეროდინამიკური თვალსაზრისი ივანე ნიკურაძის შემუშავებულია.

ივანე ნიკურაძე გარდაიცვალა 1979 წლის 18 ივლისს, 84 წლის ასაკში. იგი დაკრძალულია გიოტინგენში (გერმანია).

#### ალექსანდრე (სანდერსი) ნიკურაძე (1900-1981 წწ.)

პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ფიზიკოსი ალექსანდრე ილიას ძე ნიკურაძე დაიბადა სამტრედიამი 1900 წლის 10 ნოემბერს.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1917 წ.), ალექსანდრე ნიკურაძე უფროს ძმასთან, ივანესთან ერთად ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1919 წელს ძმები საქართველოს მაშინდელი მთავრობის მიერ სასწავლებლად გაიგზავნენ გერმანიაში. 1921 წელს, წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის შემდეგ ალექსანდრე სამშობლოში აღარ დაბრუნდა. მოგვიანებით გერმანიის მოქალაქეობა მიიღო.

ალექსანდრე ნიკურაძე, როგორც ფიზიკოსი, აქტიურად იყო ჩაბმული გამოყენებადი ფიზიკის სფეროში. იკვლევდა დიელექტრულ მასალებს, მუშაობდა იონთა და ელექტრონთა თეორიებზე. უკვე 1928 წლიდან იბეჭდება სამეცნიერო გამოცემებში – "ფიზიკა", "ფიზიკური ქიმია", "ელექტროტექნიკა"... 1930-იანი წლებიდან მუშაობდა მიუნხენისა და ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში პრივატ-დოცენტად, შემდეგ პროფესორად. 1934 წელს ბერლინში, გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი "თხევადი დიელექტრიკები", რომლის რუსული თარგმანი 1936 წელს მოსკოვში გამოიცა. მიუნხენში ხელმძღვანელობდა თავისივე დაარსებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, სწავლობდა ნაწილაკებს (იონებს, ელექტონებს).

გაცილებით შთამბეჭდავია მისი პოლიტიკური საქმიანობა და გეოპოლიტიკური ნააზრევი. იგი იყო დირექტორი კონტინენტალური ევროპის კვლევა-ძიების ინსტიტუტისა მიუნხენში, სადაც მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა სერიოზული ანალიტიკური სამუშაო. ალექსანდრე ნიკურაძეს ლექციების წასაკითხად იწვევდნენ პარიზის, ვაშინგტონის, აახენის, ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტებში. ის იყო ქართულ-ევროპული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური მკვლევარი.

ალექსანდრე ნიკურაძე ინტენსიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში ("ზედი ქართლისა" და სხვ.). 1956 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი "არგონავტების მითი". მაღალი მეცნიერული დონით გამოირჩევა მისი ნაშრომები გერმანულ ენაზე საქართველოს ისტორიაში, არქეოლოგიაში, არქიტექტურასა და სხვა დარგებში. მაგ: "ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში", "სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე", "დოქტორი ოტტო ფონ ვეზენდოკი, როგორც ქართველოლოგი", "დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის ცდა", "დასავლეთ ევროპა და კავკასია პარალელების სახით", "სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის (კავკასია შესაძლო პირველსამშობლოა სუმერთა ლითონის)" და სხვ.

ალექსანდრე ნიკურაძემ (Al. Sanders-ის ფსევდონიმით) გერმანულ ენაზე გამოსცა ხუთი წიგნი. მათ შორის აღსანიშნავია: "აღმოსავლეთ ევროპა", "კავკასია" "ოცნებითგან ვიდრე საქმედე", რომლებშიც მოცემულია ძალიან საინტერესო დებულებანი, როგორც ევროინტეგრაციის იდეისათვის, ასევე საქართველოს ისტორიისთვის.

მეცნიერი 1981 წელს, 81 წლის ასაკში ქ. მიუნხენში გარდაიცვალა.

### III საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. სხვადასხვა ქვეყნის პროფესორების (დემპი, ოპიულსი, ბიულერი, ჰირში, შნაიდერი, დოიმლინგი, გაიგერი, ფრანცისი, ნიკურადე) დისკუსიები, კვლევისა და განათლების პერსპექტივების შესახებ, ევროპის პოლიტიკური წრეების თვალთახედვა.

1962 წ., 6 ივნისი, ოთხშაბათი. გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი ტექსტი, 97 ფ.

2. ბაიერნის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მკითხველის მოთხოვნის ფურცლები, რომლებზეც აღნიშნულია, რა სახის ლიტერატურას იწერდა ალექსანდრე ნიკურადე ბიბლიოთეკიდან.

უთარილო, ავტოგრაფი, გერმანულ ენაზე. 9 ფ.

3. სხვადასხვა პროფესორის მოხსენებები და დისკუსიები, მათ შორის ალ. ნიკურადის მოხსენება. (მიუნხენური დისკუსიები).

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 56 ფ.

4. ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის ოქმი, პროგრამა, მონაწილეთა სია, მათ შორის ალ. ნიკურადის მოხსენება თემაზე - ფიზიკა და ისტორია.

1957წ., მაისი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 31 ფ.

5. მოკლე მიმოხილვა ალექსანდრე ნიკურადის საქმიანობის შესახებ. ლექციები, კვლევები ფიზიკაში, ნაშრომები, აკადემიური ხარისხი და სხვ.

1945წ., ნოემბერი, გერმანულ ენაზე, ნაბეჭდი ტექსტი ალ. ნიკურაძის მიერ, მისივე ხელმოწერით, 4 ფ.

6. ალექსანდრე ნიკურაძის ავტობიოგრაფია.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 1 ფ.

7. ივანე ნიკურაძის მეცნიერული კვლევების საქმიანობის შესახებ მოკლე მიმოხილვა, დართული აქვს მისი ბიოგრაფია.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 13 ფ.

8. ივანე ნიკურაძის დიპლომი. 1925 წლის 17 აპრილს მას მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

1925წ., 17 აპრილი, გოთინგენის უნივერსიტეტი. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 1 ფ.

9. ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის პროფესორების თეზისები და მოხსენებები ბრიუსელის კონგრესისთვის.

1957 წ., დეკემბერი. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 72 ფ.

10. მოკლე მიმოხილვა ალ. ნიკურაძის საქმიანობის შესახებ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი, 4 ფ.

11. ალექსანდრე ნიკურაძის მოკლე ბიოგრაფია, მეცნიერული კარიერა, კვლევა, მისი პუბლიკაციებისა და ნაშრომების ნუსხა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი, 52 ფ.



#### IV შემოქმედებითი მასალა

12. აღმოსავლეთ ევროპა. ( A. Sanders - „Osteuropa“.)

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 51 ფ.

13. საბჭოთა კავშირის დროინდელი ფერადი ლითონები. (განვითარება და მიმდინარე წარმოების დონე).

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. ორი ეგზემპლარი, 97 ფ.

14. საბჭოთა კავშირის მუშათა ეროვნული ფედერაციის, მონარქისტებისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხის განმათავისუფლებელი საბრძოლო ლიგის დანიშნულების შესახებ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 103 ფ.

15. პრეისტორიული ჩრდილოეთ კავკასია, არქეოლოგიური პირობები, ძველი ეთნოგრაფია და მოსახლეობის წარმომავლობა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 219 ფ.

16. ალექსანდრე ნიკურაძის ნაშრომის - „კავკასია“ სარჩევი, ატლასი.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი, გერმანულ ენაზე, 192ფ.

17. ალექსანდრე ნიკურაძის ნაშრომი - „აღმოსავლეთ ევროპა“ (არასრული).

ნაბეჭდი, ყდაში ჩასმული, გერმანულ ენაზე. 41ფ.

## V მიმოწერა

18. ალექსანდრე და ივანე ნიკურამეების მისალოცი წერილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით.

წერილში ყურადღება გამახვილებულია უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე.

უთარილო, ავტოგრაფი, ფანქარი, ქართულ და გერმანულ ენებზე. 4 ფ.

19. დოქტორ ვინქლერის წერილი ბაიერნის სახელმწიფო არქივების გენერალური დირექტორის მიმართ.

სწერს, რომ მათთვის გაგზავნილი საარქივო მასალა ეხება გერმანიისა და აღმოსავლეთ სახელმწიფოების (პოლონეთი, უნგრეთი) ურთიერთობას შუასაკუნეებში.

მიუნხენი, 1939 წლის 6 ნოემბერი, ლუდვიგშორასე. ძველ მანქანაზე ნაბეჭდი გერმანული ტექსტი. 1 ფ.

20. უცნობის წერილი ბაიერნის სახელმწიფო არქივების გენერალური დირექტორის მიმართ.

სწერს, რომ აღნიშნული მასალა არ წარმოადგენს საარქივო ერთეულს და ამოღებულია რომელიღაც ლიტერატურიდან, სადაც აღნიშნულია, დუნაის მონასტრის დაარსების ისტორია და იქ აღმოჩენილი ოქროს ჯვრის შესახებ.

1939წ., ნოემბერი, მიუნხენი, ლუდვიგშორასე. ნაბეჭდი ტექსტი, გერმანულ ენაზე, 1 ფ.

21. ვიქტორ ნოზაძის მისალოცი ღია ბარათი ალექსანდრე ნიკურაძეს.

1969 წ, დეკემბერი. ავტოგრაფი.

22. მისალოცი ღია ბარათი, მიძღვნილი ვიქტორ ნოზაძის მიერ ალექსანდრე ნიკურაძისადმი.

უთარილო, ავტოგრაფი.

23. იოსებ მეგრელიძის მისალოცი ღია ბარათი ალექსანდრე ნიკურაძისადმი.

1965 წ., 23 დეკემბერი, თბილისი, ავტოგრაფი.

24. უცნობის (ფლოროლენა) მისალოცი ღია ბარათი ალექსანდრე ნიკურაძეს.

ულოცავს დამდეგ ახალ წელს.

1970 წელი, 23 დეკემბერი. ხელით შევსებული.

## VI ფოტომასალა (შავ-თეთრი ფოტოები)

25. ალექსანდრე ნიკურაძის ფოტო, 1ც.
26. ივანე ნიკურაძის ფოტო, 1ც.
27. სულხან-საბა ორბელიანის ფოტო, თაბახის ფურცელზე დაკრული. 2ც.
28. აწყურის ციხის ფოტო (შავ-თეთრი). თაბახის ფურცელზე დაკრული. 2ც. (ფოტო ამოღებულია წიგნიდან - „Material po Archeologii Kavkaza, Ausg. IV“).
29. სავარაუდოდ, შალვა ამირანაშვილის მიერ გადაღებული წმიდა იოსების თავი, ატენის სიონის ფრესკის კომპოზიციიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული, 3ც.
30. გრემის ტაძარი ციხის გალავნით. საერთო ხედი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2ც. (შ. ამირანაშვილის).
31. ნიკორწმინდის ჯვრის ფოტო. თაბახის ფურცელზე დაკრული, 3ც. (ფოტო ამოღებულია წიგნიდან - „Material po Archeologii Kavkaza, Ausg. IV“).

32. ბაგრატ III - ის ფოტო გელათის საკათედრო ტაძრიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
33. იკორთის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ფოტო. თაბახის ფურცელზე დაკრული, 3 ც.(ფოტო ამოღებულია წიგნიდან - „Material po Archeologii Kavkaza, Ausg. IV“).
34. ერთაწმინდის დასავლეთ ფასადის დეტალი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 3ც. (ფოტო - Jurgis Baltrusaitis-ის).
35. ადიშის ოთხთავის ყდის ფოტო, ყდაზე მოჭედილი ვერცხლის ჯვრის გამოსახულებით. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო 3ც. (ფოტო ამოღებულია წიგნიდან - „Material po Archeologii Kavkaza, Ausg. IV“).
36. აშოტ კურაპალატის ფრესკის ფოტო ოპიზადან. თაბახის ფურცელზე დაკრული 2 ც. (შ. ამირანაშვილის).
37. ღვთისმშობელი ყრმით. ქვათახევის მონასტრის ხატის ფოტო. 3ც. თაბახზე დაკრული. (ფოტო ამოღებულია წიგნიდან - „Material po Archeologii Kavkaza, Ausg. IV“).
38. წმინდა გიორგის მიერ გველეშაპის განგმირვის სცენა ნიკორწმინდის და მარტვილის ტაძრებიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 3ც. (ფოტო - Jurgis Baltrusaitis-ის).
39. ახტალის ტაძრის სამხრეთ ფასადის დეტალი. თაბახზე დაკრული ფოტო. 2ც. (ფოტო - Jurgis Baltrusaitis-ის ნაშრომიდან).
40. ღვთისმშობელი ყრმით. შუამთის მონასტრის ხატის ფოტო, თაბახზე დაკრული, 2ც. (ფოტო ამოღებულია წიგნიდან - „Material po Archeologii Kavkaza, Ausg. IV“).

41. ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთ ფასადის ფოტო. თაბახის ფურცელზე დაკრული, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
42. ღვთისმშობლის ფრესკის ფოტო. გელათის ტაძრის მოზაიკა. თაბახზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
43. იფრარის წმინდა გიორგი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 3ც. (შ. ამირანაშვილის).
44. წმ. თეოდორეს ფრესკა იფრარის ტაძრიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 3ც. (შ. ამირანაშვილი).
45. მაცხოვრის ფრესკა დავით გარეჯის მონასტრიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 3ც. (შ. ამირანაშვილი).
46. მარიამისა და ელისაბედის შეხვედრის სცენა საფარის ტაძრიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო . 3ც. (შ. ამირანაშვილი).
47. ხახულის ღვთისმშობლის კარედის ხატი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილი).
48. მთავარანგელოზი გაბრიელის ფრესკა წალენჯიხიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილის).

49. ბანა. შიდა ინტერიერი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 3ც. (შ. ამირანაშვილის).
50. ოშკის აღმოსავლეთ ფასადის ფოტო. თაბახის ფურცელზე დაკრული, 3ც. (შ. ამირანაშვილის).
51. გიორგი III-ისა და თამარ მეფის ფრესკა ბეთანიიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
52. დავით კურაპალატის ჯვარი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო 3ც. (შ. ამირანაშვილის).
53. ხონის წმინდა გიორგის ხატი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
54. ღვთისმშობელი ყრმით. გელათის ტაძრის ფრესკა. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
55. მოციქულთა ჯგუფი. გელათის ტაძრის ფრესკა. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
56. უშბის ფოტო. თაბახის ფურცელზე დაკრული, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
57. მდინარე ცხენისწყალი. თაბახზე დაკრული ფოტო, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).

58. სოფელი ფარსმა (თუშეთი). პირიქითა ალაზნის მარცხენა ნაპირი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
59. სოფელ გირევის (თუშეთი) კომკები. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო.(Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო). 2 ც.
60. ორი უცნობი ხევსური მამაკაცის ფოტო. შატილი. თაბახის ფურცელზე დაკრული, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
61. უცნობი თუშების ფოტო. პირიქითა ალაზანი. თაბახის ფურცელზე დაკრული, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
62. ხევსური მეომრის ფოტო, 2ც. თაბახის ფურცელზე დაკრული.
63. დავით აღმაშენებლის ფოტო გელათის ტაძრის ფრესკიდან. თაბახის ფურცელზე დაკრული, 2ც. (შ. ამირანაშვილის).
64. ურბნისის ფრესკა, რომელზეც გამოსახულია ეპისკოპოსი თეოდორე. 4ც. 1 თაბახის ფურცელზე დაკრული. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
65. ანანურის საერთო ხედი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).



66. კავკასიური სპილენძის თასი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო). (ვიტორიო სელლას ფოტო).
67. ყაზბეგის მყინვარწვერი საღამოს. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
68. ანატორის დელე (ფშავი). თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
69. თებერდას ტბა (ჩრდილოეთ კავკასიაში). თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
70. ატენის სიონის ჩრდილოეთ ფასადი. თაბახის ფურცელზე დაკრული, ფოტო. 3ც. (ფოტო - Jurgis Baltrusaitis-ის ნაშრომიდან).
71. მინიატიურა დავითის ფსალმუნიდან - გედეონის ლაშქარი. ფოტოასლი, 1ც. (შ. ამირანაშვილის).
72. სოფელი ღების საერთო ხედი. თაბახის ფურცელზე დაკრული, ფოტო. 2ც.
73. მთავარი ციხე სოფელ ჭულში. (ხევსურეთი). თაბახის ფურცელზე დაკრული, ფოტო, 2ც.

74. აფხაზეთის კავკასიონის უღელტეხილის - ლაბას ხედი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
75. ალავერდის ტაძრის საერთო ხედი. თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო, 2ც.
76. ალავერდის ტაძრის შიდა ინტერიერის ფოტო, 1ც.
77. მეფე თეიმურაზ I და ქართველი მეომრები. კრისტოფორო დე კასტელის ჩანახატის ფოტოასლი. 2ც.
78. მულახის ხედი. (მესტია). თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
79. ლაილას უღელტეხილი (მესტია). თაბახის ფურცელზე დაკრული, ფოტო. 2ც. (Morizon von Dechy-ის ნაშრომიდან - „Kaukasus“). (ვიტორიო სელლას ფოტო).
80. ვახტანგ გურიელი. კრისტოფორო დე კასტელის ნახატის ფოტოასლი. 2ც.
81. ვახტანგ VI-ის ფოტოასლი. წიგნიდან ამოღებული, 1ც.
82. დიოკლეტიანეს გამოსახულება ნაკიფარის ეკლესიიდან (?) თაბახის ფურცელზე დაკრული ფოტო. 2 ც.
83. ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის, წმინდა ნინოს ხატის ასლის ფოტო.

84. ძველი თბილისის ფოტო. ბარათაშვილის ქუჩა. 1905 წ.

85. ძველი თბილისის ფოტო. რუსთაველის ქუჩა (ზემელი). უთარილო.

86. მთაწმინდიდან გადაღებული თბილისის საერთო ხედის ფოტო. უთარილო.

87. მტკვრის მარცხენა სანაპიროს ხედი.

88. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერიის ფოტო.

89. ფუნიკულორის საერთო ხედი.

90. ფუნიკულორის ტერასა.

91. თბილისის ოპერა.

92. ბარათაშვილის ქუჩა.

93. რუსთაველის თეატრი.

94. დინამოს სტადიონი.

95. რუსთაველის პროსპექტი. 1957 წ.

96. ვერის ბაღი.

97. იმელის შენობა.

98. თამარ მეფის ქუჩა.

99. მთაწმინდის, ფუნკულიორისა და მამადავითის ტაძრის საერთო ხედი.

100. ვაკე, უნივერსიტეტის I და II კორპუსის ფოტო.

101. ძველი თბილისი.

102. აფხაზეთი, გულრიპშის სანატორიუმის ფოტო.

103. სოხუმი, სასტუმრო - „აფხაზეთის“ ფოტო.

104. დრანდის ტაძარი (აფხაზეთი). 2 ც.

105. შირვანშაჰის სასახლის საძვალე ჭიშკარი. სულ 2ც. 1 ფოტოასლი წიგნიდან.

106. მდინარეთის მეჩეთის ზედა ნაწილი. 1ც, 4 ფოტოასლი წიგნიდან.

107. ტყობა-ერდის ეკლესია (ინგუშეთი). 1ც, 2 ფოტოასლი წიგნიდან.
108. ტყობა-ერდის ტაძრის რელიეფი. (ინგუშეთი). 1ც. 3 ფოტოასლი წიგნიდან.
109. ეჩმიაძინის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადი. 1ც.
110. საფლავის ქვა. (დაღესტანი). 1ც, 5 ფოტოასლი წიგნიდან.
111. სამარხები (ყაზარდო?). 2ც.
112. იზოლირებული ოსური ეკლესია მთებში. 1ც, 3 ფოტოასლი წიგნიდან.
113. მეჩეთი ბაქოში. 1 ფოტო, 1 ასლი, სულ 2ც.
114. საკურთხევლის ფრესკა ლიხნის ღვთისმშობლის ტაძრიდან. 1 ფოტო, 1 ასლი, სულ 2ც.
115. ბედიის ტაძრის ერთ-ერთი დეტალი. 1 ფოტო, 1ასლი, სულ 2ც.
116. ზარზმის მონასტრის დეკორაციების დეტალების ფოტო 1ც. და 1ასლი, სულ 2ც.
117. საფარის მონასტრის საერთო ხედი. 1 ფოტო, 1 ასლი, სულ 2ც.

118. სტეფანოზ I-ის რელიეფი, მცხეთის ჯვრის ტაძრიდან. 1ც.
119. აწყურის ციხის ფოტოასლი 1ც.
120. დრანდის ტაძრის რელიეფების ფოტოასლი 1ც.
121. ხახულის ტაძრის რელიეფის 1 ფოტო, 2 ფოტოასლი წიგნიდან.
122. ვორონოვის ეკლესიის ნანგრევი 1 ფოტო, 1 ასლი, სულ 2 ფოტო.
123. სომხური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტოასლი, 1ც.
124. ჩეჩნების ძველი სამარხები. 3 ფოტოასლი.
125. სოხუმის ფოტოები, 4ც.
126. გელათის სამონასტრო კომპლექსის ფოტო. 1ც.
127. თებერდას ტბის ფოტო (ჩერქეზეთი). 1ც.
128. ნაკიფარის (მესტია) წმინდა გიორგის სახელზე აგებული ტაძრის ფრესკის ფოტო, რომელზეც გამოსახულია დიოკლეტიაწე და წმინდა გიორგი. 1ც.
129. იალბუზის სახრეთ-აღმოსავლეთის ფოტო. 1ც.

130. ხევსურეთის ფოტო, თაბახის ფირცელზე დაკრული. 2ც.
131. სოფელი მულახის (მესტია) ფოტო, შავ-თეთრი, 1ც.
132. ქართველი მეომრების ძეგლის ფოტოები, 2ც.
133. ენგურის ხეობა, 1ც.
134. ლაგაშის (შუმერული ქალაქ-სახელმწიფო სამხრეთ მესოპოტამიაში) მმართველის - გუდეას ქანდაკების ფოტოები. 2 ფოტოზე გამოსახულია მხოლოდ ქანდაკების თავი, ხოლო დანარჩენ 2 ფოტოზე ტანი. სულ 4 ფოტო.
135. შუმერული ღვთაების ბიუსტის ფოტო. 2ც.
136. ბანა, 1ც.
137. ალავერდი (საერთო ხედი), 1ც.
138. ბაგრატის ტაძრის ფოტო 1 ასლი, 1 ორიგინალი, სულ 2ც.
139. იშხნის საკურთხეველის მხარე, 2ც.
140. იალბუზი (ჭუბერის?) 1ც.

141. ატენის სიონის რელიეფი, 2ც.
142. გრემის ტაძარი, 1ც.
143. შუა საუკუნეების ქართული მოზაიკური ნაკეთობა, რომელზეც გამოსახულია გოლგოთის ჯვარი. 1ც.
144. კრისტოფორო დე კასტელის მიერ დახატული ქართველი ბერი, 1ც.
145. ქალაქი ანისის ფოტო, 2ც.
146. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, 1ც.
147. ქვაჯვარი (სომხეთი (ხაჭკარ), 1ც.
148. იკორთის ტაძარი, ასლი, 1ც.
149. წმინდა ლაზარეს კუნძული ვენეციაში, 1ც.
150. ბაქოს სატელევიზიო ანძა, 1ც.
151. იკორთის ტაძრის ფოტო, 1ც.



152. ჩრდილოეთ კავკასიაში (თებერდას ხეობა) მდებარე ტაძრის საერთო ხედი. 1ც.
153. გელარდის მონასტრის (სომხეთი) რელიეფი. 1ც.
154. კაზანის ქარვასლა (სანკტ-პეტერბურგი), 1ც.
155. ადიშის ოთხთავის ყდა, 1ც.

## VII სხვადასხვა

156. ისტორიულ-გეოგრაფიული შენიშვნები.  
უძველესი ისტორიული ხანა - ნეოლითი.  
უთარილო, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. 32 ფ.
157. ქალაქ ალალახში, (ბრინჯაოს ხანის ქალაქი სამხრეთ თურქეთში (Alalach) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების აღწერა.  
ნაბეჭდი ტექსტი, უთარილო, გერმანულ ენაზე, 9 ფ.
158. ალექსანდრე ნიკურამის ბლანკები. გერმანულ ენაზე(5 ცალი).
159. კავკასიის რუკები (3 ცალი).
160. მ. ბრიონის ნაშრომი - „მსოფლიოს უძველესი კულტურა“. ( Die frühen Kulturen der Welt von M. Brion).

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, სულ 81 ფ. ( 2 ეგზემპლარად).

161. რ. გრუსის ნაშრომი - „სტეპების იმპერია“. (R. Grousset – “L' Empire des steppes”. Paris 1941).

1941წ., პარიზი, ფრანგულიდან გერმანულ ენაზე ნათარგმნი ტექსტი ულბრის ნოიმაიერის მიერ. 74 ფ.

162. სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. ერთვის ევროპის რუკის ასლი. 16 ფ.

163. სხვადასხვა ნაშრომიდან ამოღებული ტექსტები, მდინარეების, ჰესების, არხების, ენერჯის წყაროების (ქვანახშირი, ბუნებრივი აირი), აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 21 ფ.

164. სხვადასხვა ნაშრომიდან ამოღებული ტექსტები, აღმოსავლეთ ევროპის სატრანსპორტო საშუალებების, (რკინიგზა, საჰაერო ნავიგაცია, ავტოტრანსპორტი, საზღვაო ნავიგაცია) შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 17 ფ.

165. სხვადასხვა ნაშრომიდან ამოღებული ტექსტები, აღმოსავლეთ ევროპის სატრანსპორტო საშუალებების, (რკინიგზა, საჰაერო ნავიგაცია, ავტოტრანსპორტი, საზღვაო ნავიგაცია) შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 8 ფ.

166. სხვადასხვა ნაშრომიდან ამოღებული ტექსტები, აღმოსავლეთ ევროპის სატრანსპორტო საშუალებების, (რკინიგზა, საჰაერო ნავიგაცია, ავტოტრანსპორტი, საზღვაო ნავიგაცია) შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 9 ფ.

167. სხვადასხვა ნაშრომიდან ამოღებული ტექსტები, აღმოსავლეთ ევროპის სატრანსპორტო საშუალებების, (რკინიგზა, საჰაერო ნავიგაცია, ავტოტრანსპორტი, საზღვაო ნავიგაცია) შესახებ.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 8 ფ.

168. სხვადასხვა ქვეყნის გერბის ასლები.

რუსულ ენაზე. 14 ფ.

169. წიგნების მაღაზიიდან შემოთავაზებული მათემატიკური მეცნიერებების შემასწავლელი წიგნების ნუსხა.

1979 წლის ნოემბერი, ვისბადენი. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 6 ფ.

170. გერმანულ ენაზე ნათარგმნი „ქართლის ცხოვრებიდან“, საქართველოს კულტურული და პოლიტიკური განვითარების ეპოქის შესახებ. დართული აქვს რაფიელ ერისთავის ლექსი-„სამშობლო ხევსურისა“ (გერმანულ ენაზე) და კავკასიის რუკა.

უთარილო, 13 ფ.

171. ვოლგის ადმინისტრაციული ერთეულების ( ულიანოვკა, კუიბიშევსკი, სარატოვი, სტალინგრადი, ასტრახანი) აღწერა გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, მოსახლეობის, სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიის და სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით. დართული აქვს სარჩევი(ავტოგრაფი), ადმინისტრაციული ერთეულების რუკების ასლები (10 ცალი), ხედების და ინდუსტრიული თვალსაზრისით საინტერესო ფოტოების ასლები (18 ცალი).

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. 115 ფ.

172. მსოფლიო ისტორია და ადრეული ცივილიზაციები.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. საწყისი და ბოლო 2 გვერდი ორპირად. აქვს ხელით მიწერილი შენიშვნები. 54 ფ.

173. მემედ ემინ რესულზადეს ნაშრომი - „ძირითადი შტრიხები აზერბაიჯანის ისტორიიდან“.

1944 წელი., აგვისტო, ვენა, ხელით ნაწერი ტექსტი რუსულ ენაზე. 57 ფ.

174. ვოლგა-დონის არხის მშენებლობა გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით და საბჭოთა მთავრობის სამშენებლო კონცეფცია ვოლგა-დონის არხთან მიმართებაში. დართული აქვს რუკის ასლი, რომელზეც გამოსახულია დონის აუზი.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე, 33 ფ.

175. „საქართველო-ევროპა“ - ქართულ-ევროპული მოძრაობის მიერ გამოცემული.

1952 წელი, პარიზი, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. 10 ფ.

176. გიორგი მაღალაშვილის (გეორგ მაღალოვ) ნაშრომი - „საქართველო“  
უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. 38 ფ.
177. ევროპა თუ აზია (ავტორი - გეორგ მაღალოვი (გიორგი მაღალაშვილი)).  
უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი გერმანულ ენაზე. 9 ფ.
178. საქართველოს ისტორია. ერთვის 2 მცინვარწვერის ფოტო, 3 ფურცელი  
საქართველოს მეფეების მეფობის წლები (ავტოგრაფი), სარჩევიდან  
გადმოწერილი თემის სათაურები 17 ფურცელი, ფანქრით ნაწერი ავტოგრაფი,  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 233 ფ.
179. სტევენ რუნციმანის ნაშრომიდან - „ჯვაროსნული ლაშქრობების  
ისტორია“ Steven Runciman – “Geschichte der Kreuzzüge” (Georgien) -  
გაკეთებული შენიშვნები ალექსანდრე ნიკურაძის მიერ.  
უთარილო, ავტოგრაფი, კალმით ნაწერი, გერმანულ ენაზე. 14 ფ.
180. Rene Grousset (რ. გრუსი) – „Das Heldenlied der Kreuzzüge“ (ჯვაროსნული  
ლაშქრობების საგმირო სიმღერა“.  
უთარილო, ავტოგრაფი, კალმით ნაწერი, გერმანულ ენაზე. 15 ფ.
181. ზაბოროვის ნაშრომიდან - „ჯვაროსნული ლაშქრობები“ გაკეთებული  
შენიშვნები.  
უთარილო, ავტოგრაფი, კალმით ნაწერი, გერმანულ ენაზე. 2 ფ.

182. პროზაული „ვეფხისტყაოსანი“, ავტორი - გიორგი მაღალაშვილი (გ. ფრონელი). დართული აქვს ლადო გუდიაშვილის მიერ შესრულებული ილუსტრაციების ფოტოასლები 5 ცალი, აფორიზმები გერმანულ ენაზე, შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ფოტო.

1935წ., მიუნხენი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი, 27 ფ.

183. აფხაზეთი ისტორიულ-გეოგრაფიულ ჭრილში.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 33 ფ.

184. შალვა ნუცუბიძის მიერ ქართულიდან რუსულ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ განხილვა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 25 ფ.

185. მემორანდუმი „ჰუმბოლტის კოლეგიის“ შექმნის თაობაზე. ერთვის შლაისჰაიმის ახალი სასახლის 2 ფოტო.

1962წ., აპრილი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 25 ფ.

186. გ. მაღალოვის (გიორგი მაღალაშვილი) ნაშრომიდან - „ქართველი ერი“ („Das georgische Volk“) მოკლე მიმოხილვა საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. ავტორს მიწერილი აქვს ფანქრით შენიშვნები, კომენტარები. 31 ფ.

187. მოხსენებათა თეზისები (ზამთრის სემესტრი).

1957წ., იანვარი). გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 14 ფ.

188. საბჭოთა კავშირი, რუსული პარტიები და დაჯგუფებები.  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 28 ფ.
189. აქადური ეპოსის გმირის - გილგამეშის შესახებ მოკლე შინაარსი.  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 14 ფ.
190. „მიუნხენური დისკუსიები“ თემაზე - ევროპელი ხალხის ხასიათი.  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 118 ფ.
191. „მიუნხენური დისკუსიები“. სხვადასხვა პროფესორის მოხსენება, დისკუსია გასხვავებულ თემებზე.  
1964 წ., მარტი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 143 ფ.
192. მიუნხენის ქართველ სტუდენტთა გაერთიანების პრეზენტაცია - „საქართველო“ ( „Georgien“ ), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 30 წლისთავთან დაკავშირებით.  
1948წ., 3 აპრილი. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, ყდაში ჩასმული, 14 ფ.
193. შუმერების წარმოშობის ისტორია, ავტორი - პროფესორი ჩარლზ ლეონარდ ვოლი ( Charles Leonard Woolley).  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 43 ფ.

194. ფრანცის დელაისის ( Francis Delaisis) ნაშრომი - “მომავალი ომი“ (Der kommende Krieg). იგულისხმება ინგლისისა და გერმანიის ომი, კერძოდ, ინგლისური ინდუსტრია, გერმანული ინდუსტრიის წინააღმდეგ, ფაბრიკების ბრძოლა, თარგმანი: G. Bijewitz, Schwarzenfeld, den 16. 11. 44.

1944წ., 16 ნოემბერი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 39 ფ.

195. ელექტრონებისა და იონების კვლევის ინსტიტუტის ხარჯები.  
1960 წელი., გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 2 ეგზემპლარი, 15 ფ.

196. რუსი მწერლების მოსაზრებები შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 8 ფ.

197. სხვადასხვა ქართველი მეცნიერის მოსაზრება, შოთა რუსთაველის წარმოშობისა და მისი ფრესკის შესახებ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 2 ეგზემპლარი. 12 ფ.

198. სხვადასხვა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსაზრება ლეგენდარულ თქმულებებზე რუსთაველის შესახებ.

უთარილო, რუსულიდან გერმანულ ენაზე ნათარგმნი, ნაბეჭდი ტექსტი, 8 ფ.

199. IX – X საუკუნეების საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა.

რუსულიდან გერმანულ ენაზე ნათარგმნი, ნაბეჭდი ტექსტი. 2 ეგზემპლარი, დართული აქვს 1 ფურცელი, რომლიდანაც ნათარგმნია ტექსტი. 4 ფ.



200. ბიზანტიის იმპერია და საქართველოს სამეფო ჯვაროსნული ლაშქრობების წინ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 15 ფ.

201. ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის მეცნიერების მოხსენებათა თეზისები.

1957წ., იანვარი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 18 ფ.

202. სხვადასხვა პროფესორის მოხსენება თემაზე - ევროპული უნივერსიტეტი ახალ დროში.

1862 წ., 8 მარტი, ხუთშაბათი. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 141 ფ.

203. სხვადასხვა პროფესორის დისკუსიები განსხვავებულ თემებთან დაკავშირებით.

1964წ., ნოემბერი, შტუდგარდი. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 72 ფ.

204. უკრაინელები უკრაინის შესახებ (გეოგრაფიული აღწერა და მოსახლეობა).

უთარილო, ინგლისურ ენაზე ნაბეჭდი წიგნის ასლი. 28 ფ.

205. საქართველოს ისტორია სხვადასხვა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ნაშრომების მიხედვით, ესენია: ი. ჯავახიშვილი, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ალექსანდრე ცომაია, ზურაბ ავალიშვილი და სხვ.

უთარილო, გერმანულად და ფრანგულად ნაბეჭდი ტექსტი, 2 ეგზემპლარი, თან ერთვის ალექსანდრე ცომაიას შენიშვნები 1 ფურცელი, სულ 110ფ.

206. მოკლე მიმოხილვა საქართველო-გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ. XIX – XX საუკუნეები.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 18 ფ.

207. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ხანის საქართველოს მოკლე მიმოხილვა. ამ პერიოდის საქართველოს მეცნიერების, ხელოვნებისა და მწერლობის განვითარების ეტაპები. დართული აქვს აღნიშნული პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლების ფოტოები, ასევე დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და ფოტო და 2 რუკა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 51 ფ.

208. ევროპის ქვეყნები ჯვაროსანთა ომის დაწყებამდე და დავით აღმაშენებლის როლი ჯვაროსანთა ომის დროს.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 19 ფ.

209. ტრაპიზონის იმპერიის ისტორია და მისი პოლიტიკური კავშირი საქართველოსთან.

უთარილო, გერმანულად ნაბეჭდი ტექსტი, 28 ფ.

210. საქართველო (ადგილმდებარეობა, ენა, დამწერლობა, წეს-ჩვეულებები, ხალხი, კულტურული და პოლიტიკური განვითარება...). დართული აქვს საქართველოს რუკის ფოტოები 4 ცალი.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 170 ფ.

211. ქართველების მსოფლმხედველობა, ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგიური განმარტება. ავტორი - გრიგოლ რობაქიძე.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 12 ფ.

212. ადამიანის ანთროპოლოგია. ავტორი - ე. ჰეკელ ( E. Haeckel ).

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 79 ფ.

213. ხალხური თქმულება ამირანზე.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 27 ფ.

214. საქართველოს ისტორია XIII – XX სს. ტექსტს ერთვის ქართველი მეფეების, საზოგადო მოღვაწეების, საქართველოს ზოგიერთი კუთხის და თბილისის ხედების ფოტოები ( 25 ც. ).

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, სულ 96 ფ.

215. აზერბაიჯანის ისტორია (მოკლე მიმოხილვა) ავტორი - გოთჰარდ იეშკე ( Gotthard Jäschke ).

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 9 ფ.

216. დასავლეთ ევროპასა და საქართველოს შორის გავლებული პარალელები რომაული ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, ერთვის ალ. ნიკურადის ავტოგრაფი 3 ფურცელი. სულ 40 ფ.

217. ქვის, ბრინჯაოს და სპილენძის ხანის დასავლეთ ევროპა და კავკასია. პარალელები არქეოლოგიური გათხრების მიხედვით.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, ერთვის ნიკურადის ავტოგრაფი 1 ფურცელი. სულ 10 ფ.

218. რენე გრუსის ნაშრომი - „ლევანტის იმპერია“.

1946 წ., პარიზი, გერმანულ ენაზე ნათარგმნი, ნაბეჭდი ტექსტი, წიგნად აკინძული. ტექსტზე ფანქრით მიწერილი შენიშვნები და კომენტარები გაკეთებულია ალექსანდრე ნიკურადის მიერ. 174 ფ.

219. ქართული ანბანი და მისი შესატყვისი გერმანული ასოები.

უთარილო, ავტოგრაფი. 1 ფურცელი.

220. სტატია - „წმინდა ლუდოვიკო და მისი ეპოქა“ რუსული გაზეთიდან - „ახალი რუსული სიტყვა“.

1970 წ., 22 ოქტომბერი, ოთხშაბათი. რუსულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 1 ფ.

221. ტრაპიზონის იმპერიის ისტორია.

უთარილო, რუსულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 65 ფ.

222. ფიოდორ უსპენსკის ნაშრომი - „ტრაპიზონის იმპერიის ისტორიიდან“.

1929 წ., ლენინგრადი, გერმანულ ენაზე ნათარგმნი, ნაბეჭდი ტექსტი. 58 ფ.

223. ბალტიისპირეთის ჰიდროტექნიკური კვანძები, წყლის სისტემები.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. დართული აქვს 1 ფურცელი ალექსანდრე ნიკურაძის ავტოგრაფი (ფანქრით ნაწერი), სადაც მითითებულია წყაროები. ტექსტს ერთვის აგრეთვე მდინარე ვოლგის სხვადასხვა ხედის ფოტოები - 20 ცალი. სულ 65 ფ.

224. საქართველო შოთა რუსთაველის ეპოქაში, მოკლე მიმოხილვა. „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი, ეპოსის გმირები და მათი ხასიათი, რუსთაველის მსოფლმხედველობა, ვეფხისტყაოსანი ევროპულ ჭრილში, რუსთაველის ბიოგრაფიული მონაცემები.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, დართული აქვს ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების ფოტოასლები 21 ცალი. სულ 167 ფ.

225. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის საქართველო და ჯვაროსნული ლაშქრობები.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, რომელშიც შენიშვნები და კომენტარებია გაკეთებული ალექსანდრე ნიკურაძის მიერ. დართული აქვს ისტორიულ-გეოგრაფიული რუკების ასლები-12 ცალი. სულ 97 ფ.

226. მოკლე მიმოხილვა გიორგი ჩუბინაშვილის ნაშრომიდან - „ქართული ხელოვნება“. ტექსტს ერთვის სხვადასხვა ხუროთმოძღვრული ძეგლის ფოტოასლები - 40 ცალი.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, სულ 61 ფ.

227. ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია. ტექსტს დართული აქვს ჯვაროსნული ლაშქრობების სამარშრუტო რუკები - 6 ცალი.

უთარილო, ინგლისურ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, სულ 15 ფ.

228. იერუსალიმის სამეფოს ისტორია ( 1100-1291 წწ.).

1898 წ., ინსბრუკი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 3 ფ.

229. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი - „ქართველი ხალხის ისტორია“, თბილისი, 1913 წ. I ტომი. III თავი. ძველი თქმულებები ამირანზე.

1935წ., მიუნხენი, გერმანულ ენაზე ნათარგმნი, ნაბეჭდი ტექსტი. თარგმანი გიორგი მაღალაშვილის (გეორგ ფრონელი). 29 ფ.

230. შუმერების ისტორია 5000 წლის წინად. ავტორი - პროფესორი ჩარლზ ლეონარდ ვოლი ( charles leonard woolley).

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 43 ფ.

231. დავით აღმაშენებლის ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. დიდგორი. საქართველო XIII საუკუნის დასაწყისში.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. დართული აქვს ალექსანდრე ნიკურადის მიერ ფანქრით გაკეთებული შენიშვნები. 21 ფ.

232. ელექტრონებისა და იონების კვლევის ინსტიტუტის მოკლე ისტორია, მიმდინარე განვითარების გეგმები, დავალებები და ხარჯთაღრიცხვა.

უთარილო, მიუნხენი, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 31 ფ.

233. XVIII საუკუნის საქართველოს მოკლე მიმოხილვა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, დართული აქვს ნიკურადის მიერ ფანქრით გაკეთებული შენიშვნები, კომენტარები. 5 ფ.

234. საქართველოს სამეფო ჯვაროსნული ლაშქრობების დროს.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 13 ფ.

235. ჯვაროსნული ლაშქრობების ხანის საქართველო ( XIII – XV ს.) საქართველოს სამართალი და ეროვნული თვითშეგნება.

უთარილო, რუსულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 36 ფ.

236. მდინარე ვოლგის აუზები და ეკონომიკური მნიშვნელობა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 40 ფ.

237. ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის - „ქართველი ხალხის ისტორია“, (1913წ. თბილისი) I ტომის III თავი.

1935წ., მიუნხენი, გერმანულად ნათარგმნი, ნაბეჭდი ტექსტი გ. ფრონელის მიერ. 30 ფ.

238. პალეოლითის, ნეოლითის და ბრინჯაოს ხანის მოკლე მიმოხილვა მსოფლიო ისტორიის I ტომის მიხედვით.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 2 ეგზემპლარად. 55 ფ.

239. იმ ადამიანთა ვინაობა, რომლებმაც საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღეს საბჭოთა კავშირის დროს.

უთარილო, ავტოგრაფი, 1 ფ.

240. ჯვაროსნული ლაშქრობების ქრონოლოგია.

უთარილო, ნიკურაძის ავტოგრაფი, ნაწერია მათემატიკის რვეულის ფურცლებზე, ლურჯი კალმით და ჩაკრულია წიგნიდან ამოჭრილი ფურცლები. 15 ფ.

241. საქართველოს აღმავლობის ხანა. ქართული მწერლობა და კულტურული განვითარება. ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის ხანის საქართველოს მოკლე მიმოხილვა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. დართული აქვს იგივე შინაარსის მქონე, წიგნიდან ამოღებული ფურცლები. შენიშვნები და კომენტარები გაკეთებულია ნიკურაძის მიერ ფანქრით. სულ 50 ფ.

242. რაკეტის თერმული სტაბილურობის პრობლემები, ტემპერატურის ცვალებადობა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 2 ფ.

243. კრისტალების შემადგენელი კომპონენტების განსაზღვრება.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 3 ფ.

244. რკინის სტრუქტურა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 4 ფ.

245. არხის სხივები და მისი ურთიერთქმედება მასალასთან. მას-სპექტრომეტრია.



უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 6 ფ.

246. რაკეტის მოწყობილობა. ელექტრო, ელექტროსტატიკური, თერმოელექტრული დისკები. ბირთვის ენერგია.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 15 ფ.

247. კავკასიის ატლასი. კავკასიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, სიდიდე, კლიმატური პირობები. სამეცნიერო ბიბლიოთეკები და არქივები.  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 118 ფ.

248. ამონარიდი ჩარლზ ლეონარდ ვოლის ნაშრომიდან - „პრე სპარსული პერიოდის კულტურა.“(არქეოლოგიური გათხრები, კერამიკის წარმოება, ხეთური იეროგლიფები.)

უთარილო, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ნაბეჭდი ტექსტი. 25 ფ.

249. მოკლე შინაარსი კარლ შუხარდტის ნაშრომიდან - „ძველი ევროპა“. დართული აქვს ნიკურადის მიერ ფანქრით ნაწერი სარჩევი და შენიშვნები. აგრეთვე ევროპის რუკის ასლები 3ც.

1935 წ. ლაიფციგი, სულ 119 ფ.

250. სირ ლეონარდ ვოლის ( Sir Leonard Woolley) ნაშრომი - „მივიწყებული სამეფო“. შუმერების, ხეთების, ეგვიპტისა და ბაბილონის სამეფოს ისტორია.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. 20 ფ.

251. ჰიკსოსების სამეფო დინასტიის მოსვლა ეგვიპტის მმართველობაში. მათი სახელმწიფო ენა, ნეოლითური ხანა.

უთარილო, ნაბეჭდი ტექსტი, გერმანულ ენაზე. 46 ფ.

252. ივანე ნიკურაძის ნეკროლოგი გაზეთიდან - „ფრანკფურტი და მსოფლიო“, სათაურით: „ტელეწამყვანი გრობლებენი ცნობილ მამამთილს გლოვობს“.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

253. პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დროინდელი საქართველო ( 1096 – 1099 წწ.) და მეფეები. (დავით აღმაშენებელი, თამარი).

უთარილო, რუსულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, 25ფ.

254. პირველყოფილი წყობილების ადამიანის განვითარების ეტაპები, მისი კულტურული განვითარება.

უთარილო, გერმანულ ენაზე, 27 ფ.

255. რომის პაპის - ურბან II-ის მოკლე დახასიათება.

უთარილო, გერმანულ ენაზე, 6ფ.

256. ისტორიული და კულტურული ურთიერთობები გერმანიასა და სომხეთს შორის. ავტორი - Dr. Artashes Abeghian.

უთარილო, გერმანულ ენაზე, 23 ფ.

257. „თურქული“ საქართველოს ისტორია. (ტრაპიზონი, ლაზეთი).

უთარილო, გერმანულ ენაზე, 4 ფ.

258. სამხრეთ კავკასიის ეკონომიკის საფუძვლები (ავტორი - N. Parman.)  
უთარილო, გერმანულ ენაზე, 29 ფ.
259. კავკასია გეოგრაფიულ ჭრილში (ავტორი - Dr. E. O. Kossmann).  
უთარილო, გერმანულ ენაზე, 25 ფ.
260. „სომხური ლიტერატურა“ (ავტორი - Watsche Abeghian)  
უთარილო, გერმანულ ენაზე, 19 ფ.
261. კავკასიის სხვადასხვა ხალხის ურთიერთობა გერმანიასთან  
მიმართებაში (ავტორი - Theodor Hummel).  
უთარილო, გერმანულ ენაზე, 2 ეგზემპლიარად, სულ 22 ფ.
262. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხი (საერთო სურათი), (ავტორი -  
Emil Walker).  
უთარილო, გერმანულ ენაზე, 20 ფ.
263. ქართული ხელოვნების, კერძოდ, ქართული ცეკვებისა და მუსიკალური  
საკრავების შესახებ მოკლე მიმოხილვა.  
უთარილო, ფრანგულ ენაზე, 2 ფ.
264. სელჩუკებისა და მათი ათაბაგების მოკლე ისტორიული მიმოხილვა.  
უთარილო, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. ავტოგრაფი, თან  
ერთვის წიგნიდან ამოღებული მასალა. 22 ფ.

265. მასალები ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ. ერთვის აღმოსავლეთ ევროპის რუკის ასლები ( 3ც.) და სხვადასხვა ბიბლიოთეკის მოთხოვნის ფურცლები, ( 11ც.).

უთარილო, კალმით ნაწერი ტექსტი, რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. 20ფ.

266. გერმანული გაზეთიდან - „Süd Deutsche Zeitung“ ამოჭრილი სტატია, მოთხილამურე - კობა წაქაძის შესახებ.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი, 1ფ.

267. XIX – XX საუკუნის საქართველო, ქართველი მწერლები და მწერლობა. (ილია, აკაკი, ვაჟა).

უთარილო, გერმანულ ენაზე, 26 ფ.

268. ახლო აღმოსავლეთის ისტორიული მიმოხილვა. (ჩინეთი, ირანი, სირია). უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, საწყისი ფურცლები აკლია. 81ფ.

269. მანქანათმშენებლობის ინდუსტრიის ტერმინების განმარტება. უთარილო, რუსულიდან გერმანულ ენაზე ნათარგმნი. ავტოგრაფი, ფანქრით ნაწერი. დართული აქვს რუსული ასოების ტრანსკრიფცია სხვადასხვა ენასთან მიმართებაში. სულ 4 ფ.

270. დავით კურაპალატი და მისი შთამომავლები. გადამწყვეტი ბრძოლა გიორგი I-სა და კაიზერ ბასილი- II-ს შორის.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, ერთვის ავტოგრაფები და წიგნიდან ამოჭრილი ფურცლები. 68 ფ.

271. საქართველო-გერმანიის ურთიერთობები 1914-1918 წლებში. (პოლიტიკური მიმოხილვა).

უთარილო, გერმანულ ენაზე. 20 ფ.

272. კაცობრიობის ცივილიზაციის აღმავლობის ხანა ირანში. (მოკლე მიმოხილვა).

უთარილო, გერმანულ ენაზე. ქსერო-ასლი. 5ფ.

273. ჯვაროსნული ლაშქრობები და საქართველო.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი. ერთვის ავტოგრაფები. 47ფ.

274. ინდოევროპელების მოკლე ისტორია და მათი განვითარების საფეხურები.

უთარილო, ფანქრით ნაწერი ავტოგრაფი, ერთვის ნაბეჭდი ტექსტი და 2 ევროპის რუკის ასლი. გერმანულ ენაზე. სულ 74 ფ.

275. ივანე ნიკურაძის ნეკროლოგი გაზეთში - „მსოფლიო“.

1979 წ., 29 აგვისტო. გერმანულ ენაზე. (ასლი) 2 ფ.

276. სითხის მექანიკის შემადგენლობა ( ნახაზი).

უთარილო, გერმანულ ენაზე. 1ფ.

277. შუა საუკუნეების საქართველო (ისტ. მიმოხილვა მოკლედ).

უთარილო, ფანქრით ნაწერი ავტოგრაფი. ჩართულია ნაბეჭდი ფურცლები. გერმანულ ენაზე, 108 ფ.

278. კავკასიის მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

უთარილო, ფანქრით ნაწერი ავტოგრაფი. გერმანულ ენაზე. 20 ფ.

279. ხირბეთ-კერაკის კულტურის გავრცელება ცენტრალური კავკასიიდან კაპადოკიამდე.

უთარილო, ავტოგრაფი, ერთვის ნაბეჭდი მასალაც. გერმანულ ენაზე, 115 ფ.

280. ქოლა ლომთათიძის „ლეგენდა საქართველოს შესახებ“.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნათარგმნი რობერტ ბლაიხშტაინერის მიერ. ნაბეჭდი ტექსტი, 2ფ.

281. მონეტების აღმოჩენა, როგორც ეკონომიკურ-კულტურული ისტორიის წყარო X-XI საუკუნეებში. ჰანს გებარტის ნაშრომიდან, - „გერმანული ყოველწლიური წიგნი“, ამოღებული მასალა.

1938 წ. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი, ერთვის 3 მონეტის ქსერო-ასლი. სულ 6 ფ.

282. ქალაქ ამბერგის ცენტრალური სახელმწიფო არქივის საარქივო ერთეულების აღწერილობა.

უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექსტი 14 ფ.

283. ბავარიის ცენტრალური არქივის საარქივო ერთეულების აღწერილობა.  
უთარილო, გერმანულ ენაზე ნაბეჭდი ტექტი, 2 ფ.

284. ილია ჭავჭავაძის ლექსიდან - „მეფე დემეტრე თავდადებული“, ამოღებული 2 სტრიქონი.  
უთარილო, ფანქრით ნაწერი, ქართულ ენაზე, 1 ფ.

285. მოკლე შენიშვნები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და კულტურული, სამეცნიერო თვალსაზრისით მისი მნიშვნელობის შესახებ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

უთარილო, ფანქრით ნაწერი, გერმანულ ენაზე, 4 ფ.

286. სუხიშვილების საკონცერტო პროგრამა. გერმანულ ენაზე ნაბეჭდი 1 ფურცელი. ერთვის განმარტება ქართულ ცეკვაში გამოხატული ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის შესახებ.

1962წ., 5 ოქტომბერი, 20:00 საათი, ზალცბურგი, ფანქრით ნაწერი გერმანულ ენაზე. სულ 2 ფ.

287. სხვადასხვა ლექსიკონიდან ამოღებული რამდენიმე სიტყვის განმარტება.

უთარილო, ფანქრით ნაწერი ავტოგრაფი. 7 ფ.

288. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული სახარებების მინიატიურების ალბომი ( ფოტოასლები).

ფერადი, 10 ცალი.

289. საფოსტო ბარათი, რომელზეც გამოსახულია გ.ი. გაბაშვილის ნახატი - „სამი მოქალაქე“.

1893 წ., ტექსტის გარეშე.

290. ღია ბარათები თბილისის ხედებით.

შავ-თეთრი, 3 ცალი.

291. ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის ისტორია, სამომავლო გეგმები და ამოცანები. ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვა, მასში დასაქმებული პროფესორების ხელფასები.

1961წ., გერმანულ ენაზე. 31ფ.



